პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 243 (5793)

1976 წ. 9 დეკემბერი, ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის კურსით



- მშრომელთა სპორტში ჩაბმის ყველაზე ხელმისაწვდომი და ეფექტური საშუალება.
- სპორტკლუბის წევრთა რაოდენობა — თორმეტი ათასი.
- ხელმძღვანელობის ზრუნვის შედეგი
- მაღალი შეგნება — წარმატების გარანტია.
- მიზანი — „ოლიმპიადა-80“.

„ლელოს“ ინფორმაცია

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: სპორტკლუბ „სინათლის“ ფრენბურთელთა და კალათბურთელთა შიდასაკოლექტივო სპარტაკიადის შეჯიბრების მომენტები.

ი. იუნაევის ფოტოები.



# განახლებული „სინათლე“

**სპორტის** მოყვარულებს კარგად ახსოვთ სახელოვანი ქართველი მოჭიდავის, სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ზ. ბერიაშვილის რაინდული შემართება საჭიდაო ხალიჩაზე, მისი მომხიბლავი ილეთები. ბერიაშვილი თბილისის სპორტკლუბ „სინათლის“ აღზრდილია. ამ კლუბმა საქართველოს აღუზარდა ბევრი სხვა საუკეთესო სპორტსმენიც, რომლებიც წარმატებით ასპარეზობდნენ რესპუბლიკურ, საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე. „სინათლის“ ფეხბურთელებმა სამჯერ (1957, 1968 და 1969 წლებში) მოიპოვეს სსრ კავშირის თასი ფიზკულტურის კოლექტივებს შორის. საკავშირო შეჯიბრებებში წარმატებით მონაწილეობდნენ ამ კლუბის ტანმოვარჯიშეები, მძლეოსნები, ძალოსნები...

მაშინ „სინათლე“ მხოლოდ თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს 3-ათასიანი კოლექტივის წევრებს აერთიანებდა. ამ ერთი წლის წინათ შეიქმნა საქალაქო სატრანსპორტო გაერთიანება, სადაც ძველ კოლექტივს ავტობუსებისა და ტაქსების საწარმოებიც შეუერთდა. ამჟამად გაერთიანებაში 15 ათასზე მეტი ადამიანი შრომობს.

სპორტკლუბ „სინათლის“ კოლექტივებში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისა და მშრომელთა ჯანმრთელობის განმტკიცებისთვის დასახული გეგმების, მათი შესრულებისა და შემდგომი პერსპექტივების შესახებ ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრა საქალაქო სატრანსპორტო გაერთიანების პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე **ვაჟა ნადირაშვილი.**

**— პატივცემულო ვაჟა, ჩვენთვის ცნობილია, რომ „სინათლე“ ამჟამად 12 ათას წევრს აერთიანებს. თქვენი აზრით, მშრომელთა სპორტში ჩაბმისთვის რომელი გზაა ყველაზე ხელმისაწვდომი და ეფექტური?**

— მშდ კომპლექსი! მათ, ვინც სკოლაში ვერ ეზიარა ფიზკულტურას და სპორტს, ამის საშუალებას კვლავ აძლევს მშდ. ახალი კომპლექსი მედიცინის, პედაგოგიკის, სპორტის სპეციალისტთა დიდი შრომის ნაყოფია. კომპლექსში ძალზე გონივრულად არის დაგეგმილი ფიზიკური კულტურიდან სპორტზე გადასვლა და, ამრიგად, იგი ყველა ჯანმრთელი ადამიანისთვის ხელმისაწვდომია. ცხადია, რომ სწორედ ამიტომ მოიპოვა მშდ-მ პოპულარობა ახალგაზრდობასა და უფროსი თაობის ადამიანებს შორის, და ინტერესი მის მიმართ დღითიდღე იზრდება.

**— რა მდგომარეობა გაქვთ სპორტული ბაზების მხრივ?**

— სპორტს სულ უფრო მეტად ეტანება ხალხი, თანდათან იზრდება სხვადასხვა სპორტულ ჯგუფებში მოვარჯიშეთა რიცხვი. უნდა აღვნიშნო გაერთიანების ხელმძღვანელთა დიდი ზრუნვა სატრანსპორტო კოლექტივებში ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი აღმავლობისათვის. ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს დახმარებას არ აკლებენ „სინათლის“ გამგეობის თავმჯდომარე, საქალაქო სატრანსპორტო გაერთიანების უფროსი ნოდარ ბერიძე, კლუბის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეები ალისო მირზოევი, რევაზ მეცხოვრიშვილი, გივი შენგელია, ტექნიკური განყოფილების უფროსი ინჟინერი გურამ ბანძელაძე, პარტორგანიზაციის მდივანი ჯემალ კვაჭანტირაძე. სწორედ მათი ზრუნვის შედეგად დაჩქარდა „სინათლის“ სპორტული ბაზების კაპიტალური რემონტი, სახე იცვალეს ჭადრაკისა და შაშის კლუბმა, სპორტთამაშების, ტანვარჯიშის, კრივის, ძალოსნობის, მაგიდის ჩოგბურთის დარბაზებმა. ყველაფერი განახლდა, ბაზები აღიჭურვა თანამედროვე სპორტინვენტარით, მოეწყო გასახდელები, საშხაპეები... მიმდინარეობს ფეხბურთის სტადიონის რეკონსტრუქცია, მალე აღდგება სარბენი ბილიკები, მწყობრში ჩადგება ტყორცნისა და ხტომის სექტორები. განახლება მიმდინარეობს: ფეხბურთის სტადიონს დაემატება ხელბურთისა და ფრენბურთის მოედნები, ჩოგბურთის კორტი.

**— როგორ ასრულებთ X ხუთწლიანი გეგმის წლევანდელ დავალებებს?**

— ჩვენ ადამიანებს ვრაზმავთ მაღალნაყოფიერი შრომისთვის, საგეგმო მაჩვენებლების, შემხვედრი გეგმების გადაჭარბებით შესრულებისთვის. მეათე ხუთწლედის იმ გრანდიოზულ ამოცანათა გადაწყვეტა, რომლებიც კომუნისტური პარტიის XXV ყრილობამ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმმა დაგვისახა, ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი საწარმოს კოლექტივებში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების დონეზე. სპორტკლუბ „სინათლის“ ფიზკულტურულ აქტივს შეგნებული აქვს ეს და ყველაფერს აკეთებს დაკისრებულ დავალებათა გადაჭარბებით შესასრულებლად.

**— როგორ ემზადება „სინათლე“ მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადის შესახვედრად?**

— თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები და სპორტკლუბ „სინათლის“ გამგეობის ხელმძღვანელობა მომავალ საქმიანობას ისე გეგმავს, რომ სსრ კავშირის მოჭიდავეთა და ფრენბურთელთა ნაკრებ გუნდებს საპატიო სპორტის ღირსების დასაცავად თითო სპორტსმენი მაინც მოუმზადოს.

მოხარული ვარ, რომ მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადისათვის საქართველოს ნაკრები გუნდები ჩვენს სპორტულ ბაზებზეც ემზადებიან. დაე, ეს ჩვენი დახმარება მომავალ ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს სპორტსმენთა სასახელო გამარჯვებების საწინდარი გახდეს.

საუბარი ჩაიწერა
ი. იუნაევმა.

ვენა. მოფარიკავეთა აქ გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა მინსკელმა რაპირისტმა ა. რომანკოვმა. ქალთა შეჯიბრებაში ბადალი არ ჰყავდა ამავე ქალაქის წარმომადგენელ ე. ბელოვას. ასპარეზობაში, რომელიც ოცდამეექვსედ ჩატარდა, მონაწილეობდნენ ავსტრიის, უნგრეთის, იტალიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, გფრ-ის, იუგოსლავიისა და სსრ კავშირის სპორტსმენები.

აშხაბადი. აქ ჩატარდა მძლეოსნური გარბენი „ხალხთა მეგობრობა“, რომელიც კონსტიტუციის დღეს მიეძღვნა. ყველას აჯობა სამხრეთ ურალის რკინიგზის სამმართველოს უფროსმა ინჟინერმა, ჩელიაბინსკელმა ი. სლადკიხმა. მარათონული დისტანცია — 42 კილომეტრი და 195 მეტრი მან 2 საათში, 16 წუთსა და 23 წამში გაიარა. თურქმენეთის სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დაწესებული მთავარი პრიზი ულიანოვსკის მარათონელებს გადაეცათ.

## მოცურავეები თასისთვის იბრძვიან

**ხარკოვი, 7 დეკემბერი.** (საქ-დესი). „სპარტაკის“ სპორტის სასახლეში დაიწყო მოცურავეთა შეჯიბრება სსრ კავშირის თასზე. ეს ასპარეზობა მეოთხედ ტარდება. საპატიო ჯილდოსთვის იბრძვიან სპორტულ საზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდები, რომელთა შემადგენლობაშიც ცისფერი ბილიკების ბევრი უძლიერესი ოსტატია.

მონაწილეებმა უკვე შეჯიბრების სტარტზე წლის ამ დროისთვის საკმაოდ მაღალი შედეგები მოიპოვეს. 16 წლის ალმაათელმა სპორტსმენმა ა. პუზანოვმა 400 მეტრი თავისუფალი სტილით 4 წუთში და 03,85 წამში გადალახა. ლენინგრადელმა ვ. ტარასოვმა 200 მეტრზე ბრასით შეჯიბრებაში 2.22,79 აჩვენა. მოსკოველი ლ. ცარიოვა პირველი იყო 100 მეტრზე თავისუფალი სტილით შეჯიბრებაში — 59,85 წამი.

●

## ფრე კოპენჰაგენში

კოპენჰაგენიდან მოვიდა ცნობა, რომ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი მერვედფინალური მატჩი კიევის „სპარტაკის“ ხელბურთელ ქალთა კოლექტივმა დანიის სპორტული კლუბის ფიფ-ის გუნდთან ფრედ დაამთავრა — 13:13. აღსანიშნავია, რომ კიეველმა სპორტსმენებმა შეხვედრის პირველი ნახევარი მოიგეს — 8:7. სტუმართაგან ყველაზე შედეგიანები იყვნენ მაკარეცი და ტურჩინა. მათ მეტოქეთა კარში 4-4 გოლი გაიტანეს.

განმეორებითი მატჩი 12 დეკემბერს გაიმართება კიევში.

## ჯილდო — „გურიას“

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა დიპლომითა და სიგელით დააჯილდოვა ლანჩხუთის „გურიის“ ფეხბურთელთა კოლექტივი, რომელმაც „ა“ კლასის II ლიგის I ზონაში პირველი ადგილი დაიკავა.

დიპლომებით დაჯილდოვდნენ გუნდის ხელმძღვანელები და მოთამაშეები.

სპორტული ბაზების მშენებლობა — № 1 პრობლემა

**იმის შესახებ, თუ რატომ ჩამორჩა რესპუბლიკაში სპორტული ბაზების მშენებლობა საერთო საკავშირო დონეს, რა აბრკოლებს დაწყებული სპორტული ობიექტების აგების ვადების დაცვას და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე მოგითხრობთ ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის მეორე გვერდზე.**



**საქართველოს** კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმმა და შემდეგ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიამ კაპიტალური მშენებლობის საკითხს სერიოზული ყურადღება დაუთმეს. ნოემბრის დამლევს კი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე კაპიტალური მშენებლობის უმნიშვნელოვანეს ამოცანათა შესრულების ზოგიერთი გადაუდებელი ღონისძიების შესახებ ბჭობდნენ.

თათბირზე აღინიშნა, რომ ამ ბოლო ხანს კაპიტალური მშენებლობის საქმეში მოპოვებული გარკვეული წარმატებების მიუხედავად, მიმდინარე წლის 10 თვის საგეგმო დავალებანი მთლიანად რესპუბლიკაში არ შესრულებულა. დარჩენილ ორ თვეში დავალების შესასრულებლად საჭირო იქნება დაახლოებით 700 მილიონი მანეთის ფონდების ამოქმედება. ითქვა, რომ რესპუბლიკაში დაუმთავრებელ მშენებლობათა დონე ჯერ კიდევ მაღალია და ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ, რომ იგი ნორმატივამდე დავიყვანოთ.

უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში სპორტული ბაზების მშენებლობის საქმეც საგრძნობლად გაუმჯობესდა — დამთავრდა თბილისის „დინამოს" სტადიონის რეკონსტრუქცია, სანაპიროზე სწრაფი ტემპით შენდება საცურაო აუზი. მაგრამ თუ სხვა ობიექტებსაც გადავხედავთ, სურათი მაინცდამაინც სახარბიელო როდია. ცხადია, სპორტული ბაზების მშენებლობისა და კეთილმოწყობის სამუშაოთა გაჭიანურებაც უარყოფით გავლენას ახდენს რესპუბლიკაში საგეგმო დავალებათა მთლიანად შესრულებაზე.

მაინც, რა მდგომარეობაა ამ მხრივ რესპუბლიკაში, რა იწვევს ბაზების მშენებლობის ვადების უხეშად დარღვევას? ამ და სხვა საკითხებზე გაზეთ „ლელოს" რედაქციის განყოფილების გამგე ო. გელაშვილი ესაუბრა საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტნაგებობათა სამმართველოს უფროსს **ვ. ლომაძეს** და „საქსპორტრემმშენის" სამმართველოს უფროსს **გ. კორკოტაძეს.**

## სპორტული ბაზების მშენებლობა — № 1 პრობლემა

# ზოზინის დრო აღარ არის!

„ხუთწლედის სამშენებლო პროგრამა დაძაბულია. ახალი ფონდების ამოქმედების მოცულობა წლების მიხედვით გაიზრდება. ეს ნიშნავს, რომ დროის ფაქტორი ძირითადი ხდება და ზოზინის დრო აღარ არის, რომ უკვე ხუთწლედის სტარტზე უნდა ვიმუშაოთ სრული უკუგებით. ეს უნდა გაითვალისწინონ როგორც თვით მშენებლებმა, ისე მგეგმავებმა, დამპროექტებლებმა, მომმარაგებლებმა, ყველამ, ვისზეც დამოკიდებულია მშენებლობის ვადები და ხარისხი".

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის **ლ. ი. ბრეჟნევის** მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე წარმოთქმული სიტყვიდან).

● **საიდუმლო აღარ არის, რომ ჩვენი რესპუბლიკა სპორტული ბაზების მშენებლობის საშუალო საკავშირო დონეს საგრძნობლად ჩამორჩება, სპორტულ ნაგებობათა რაოდენობის მიხედვით კავშირში ერთ-ერთ ბოლო ადგილზე ვართ. რა არის მიზეზი?**

ვ. ლომაძე: რესპუბლიკაში სპორტული ბაზების ქსელის გაფართოებისთვის ბოლო ხუთწლედებში 4-5 მილიონ მანეთს ითვალისწინებდნენ: ეს ცოტა როდია.

აღნიშნული თანხა ყოველ ხუთწლედში მთლიანად რომ გამოგვეყენებინა, ბაზების მხრივ ასეთ სამარცხვინო მდგომარეობაში არ აღმოვჩნდებოდით. მეათე ხუთწლედში 5 მილიონი მანეთია გამოყოფილი. ახალი ხუთწლედის პირველი წელი მიილია, მაგრამ საგეგმო დავალებათა შესრულებაში სურათი, სამწუხაროდ, თითქმის არ შეცვლილა.

იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო ორგანიზაციები წლიურ დავალებებს ვერ შეასრულებენ და, მაშასადამე, სახსრებს ვერ აითვისებენ, დარჩენილი თანხა წლის დამლევს სახელმწიფო ბიუჯეტში გადადის, ახალი წლიდან კი დაუმთავრებელ ობიექტებზე მუშაობის გასაგრძელებლად სახსრების ხელახლა გამოყოფა ხდება საჭირო. ეს ახალი ბაზების მშენებლობას, რასაკვირველია, აფერხებს.

● **რა აბრკოლებს დაწყებული სპორტული ობიექტების მშენებლობის ვადების დაცვას?**

— მიზეზი ბევრია, მაგრამ შევეცდები ზოგიერთი, ჩემი აზრით, მთავარი მაინც გამოვყო. სპორტული ბაზების მშენებლობის ძირითადი დამკვეთი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოა. ცხადია, ამ სამმართველოს ევალება მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულების კონტროლიც, მაგრამ დასამალი როდია, რომ იგი ხშირად ჯეროვან ყურადღებას არ იჩენს.

● **რატომ არ ერევიან საქმეში საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტნაგებობათა სამმართველოს სპეციალისტები?**

— სარაიონთაშორისო კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს ჩვენ ძალიან ხშირად ვახსენებთ, რომ სპორტული ბაზების მშენებლობა მეტ ზრუნვასა და ყურადღებას მოითხოვს, მაგრამ ხშირად მხოლოდ დაპირებებით გვისტუმრებენ. ამ სამმართველოს ტექნიკური ზედამხედველები რატომღაც, რესტორნებისა და მაღაზიების მშენებლობის დაჩქარებისთვის უფრო ზრუნავენ...

● **რა კონკრეტულ მაგალითს დაასახელებდით?**

— უამრავს. მაგალითად, ბაკურიანის ყველა ახალი მშენებლობა გორის სარაიონთაშორისო კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს (უფროსი ლ. ინაური) ტექნიკურ ზედამხედველს თენგიზ თოფჩიაშვილს აბარია. ის არის პასუხისმგებელი, რომ მის სამშენებლო რაიონში ზუსტად იყოს დაცული ობიექტების მშენებლობის ვადები და ხარისხი. მაგრამ თოფჩიაშვილი თვეობით არ ეკარება არც 40-მეტრიანი ხელოვნურსაფარიანი ტრამპლინის, არც ათასმეტრიანი საბუქსირო საბაგირო გზისა თუ სხვა სპორტული ობიექტების მშენებლობას, ყურადღებას არ აქცევს გეგმების შესრულებას. ესაა მიზეზი, რომ ამ ნაგებობათა საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადები უხეშად დაირღვა.

● **რას გულისხმობთ ვადების უხეშ დარღვევაში?**

— ტრამპლინი უკვე დეკემბერში უნდა ჩამდგარიყო მწყობრში, მაგრამ სინამდვილეში აქ საქმის მხოლოდ 30 პროცენტი გაკეთდა. მთლიანად დამთავრდა მხოლოდ მიწის სამუშაოები. სამშენებლო სამუშაოებისთვის არც მუშახელი ჰყოფნით, არც ხის მასალა და არც კონსტრუქციები შემოუზიდავთ ჯერ.

თუ გნებავთ თბილისის მძლეოსნური მანეჟი ან ველოტრეკი ავიღოთ. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტმა მონდომებით იშრომა თბილისის „დინამოს" სტადიონის რეკონსტრუქციისთვის. მანეჟსა და ველოტრეკსაც ეს ტრესტი აშენებდა, ამ ბაზების საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადები დიდი ხანია მიილია, მაგრამ მათი საბოლოოდ დამთავრება წლობით ჭიანურდება.

● **განა მარტო მშენებელი ორგანიზაციები არიან დამნაშავე?**

— უკვე მოგახსენეთ, რომ ჩამორჩენის ძირითადი მიზეზი კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს უზრუნველობაა. ამ ორგანიზაციამ საპროექტო ინსტიტუტებს უნდა დაუკვეთოს ნაგებობათა პროექტები, მაგრამ ზოგჯერ უგულისყურობას იჩენენ და უკონტროლობის გამო საქმე ჭიანურდება. სწორედ ესაა მიზეზი, რომ ალბათ არც გაისად დაიწყება თბილისში ფიზკულტურის ინსტიტუტის სამდარბაზიანი კორპუსის, მესტიაში კი სპორტული პანსიონატის მშენებლობა. ექსპერიმენტული დაპროექტების ამიერკავკასიის ზონალური სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დღემდე ვერ შეადგინეს ფიზკულტურის ინსტიტუტის ასაგები ბაზის პროექტი. საპროექტო ინსტიტუტების მუშაობაზე კი უთუოდ ბევრია დამოკიდებული. ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ ათ თვეში წლიური გეგმით გათვალისწინებული 604 ათასი მანეთის მაგიერ შესრულებულია 267 ათასი მანეთის საქმე.

● **რა მშენებლობებია გათვალისწინებული საგაისოდ?**

— თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩაზე მწყობრში უნდა ჩადგეს ჩოგბურთის დახურული სტადიონი. ფაქტიურად ეს ბაზა წლეულს უნდა აშენებულიყო — აქეთი იყო საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის, ჩოგბურთის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარის ნოდარ მეძმარიაშვილის ინიციატივა, ამასთან, იგი ამ ბაზის აგებას ეკონომიის ხარჯზე გვპირდება. მაგრამ № 13 ტრესტს, რომელსაც სტადიონის მშენებლობა დაევალა, ტერიტორია დროულად ვერ გავუთავისუფლეთ.

გაისად ლესელიძეში საძირკველი ჩაეყრება სპორტთამაშების საკმაოდ დიდ საწვრთნელ პავილიონს, მესტიაში დაიწყება საბუქსირო საბაგირო გზის „ვლ-1000" მშენებლობა, ფიზკულტურის ინსტიტუტთან — საცურაო აუზისა. ხუთწლედში რესპუბლიკას უნდა შეემატოს: თბილისის 25- და 50-მეტრიანი საცურაო, აგრეთვე, წყალში ხტომის აუზები, ზემოთ აღნიშნული სამდარბაზიანი კორპუსი, მიტარბი — კოხტა I-ის საბაგირო გზა, ბაკურიანის 200-ადგილიანი საძინებელი პანსიონატი (აქ არ აღვნიშნავ იმ ობიექტებს, რომლებიც პროფკავშირებმა, „დინამომ" და არმიელთა სპორტკლუბმა უნდა ააგონ), ოლიმპიური ბაზა.

● **როგორ გესახებათ მდგომარეობის გამოსწორების გზები?**

— ვფიქრობ, სპორტული ბაზებისა და ნაგებობათა მშენებლობის საქმე დიდად მოიგებდა საქართველოს სპორტკომიტეტის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს გამსხვილებით, სპორტნაგებობათა სამმართველოსთან არსებულ საპროექტო სახარჯთაღრიცხვო ბიუროს უნდა მიეცეს საშუალება თვითონ შეადგინოს პროექტები. ერთი სიტყვით, საჭიროა შეიქმნას ისეთი ორგანიზაცია, როგორიცაა „სოიუზსპორტპროექტი" და „სოიუზსპორტსტროი", ისინი თვითონ აპროექტებენ და აშენებენ კიდეც. დარწმუნებული ვარ, მხოლოდ ამ გზით მოვსპობთ დარღვევებს მშენებლობათა გეგმების შესრულებაში.

* * *

დაახლოებით იგივე გვითხრა გ. კორკოტაძემ. მასთან საუბარში გამოირკვა, რომ სარემონტო-სამშენებლო სამმართველომ წლიური გეგმა 18 ნოემბრისთვის 106 პროცენტით შესრულა, მაგრამ სამმართველოს ამაში დაეხმარა აქტიური მონაწილეობა „დინამოს" სტადიონის მშენებლობაში. გეგმით გათვალისწინებულ სხვა ობიექტებზე კი ეს სამმართველო საგრძნობლად ჩამორჩა.

— ბაკურიანში საბუქსირო-საბაგირო გზის „ვლ-1000"-ის მშენებლობა იმიტომაც გაჭიანურდა, რომ აქ № 4 სარემონტო-სამშენებლო უბანი ფაქტიურად ივნისში შევქმენით, ხოლო, როცა ეს უბანი საქმეს შეუდგა, სხვა დაბრკოლებებმა იჩინა თავი. კერძოდ, ხელი შეგვიშალა მიწისქვეშა წყლების სიუხვემ. საქმის მოწესრიგებამ კი დიდი დრო დაგვაკარგვინა. ახლა ამ გზაზე, რომელიც წლეულს უნდა ჩაგვებარებინა, სამუშაოთა მხოლოდ 40 პროცენტია შესრულებული, საქმეს აფერხებს მექანიზმების უქონლობაც. საყრდენებისთვის ღორღს, ცემენტსა და წყალს ასობით მეტრზე ხელით ვეზიდებით.

● **კიდევ რას აკეთებს თქვენი სამმართველო ამ მიმართულებით?**

— მას ევალება 90-მეტრიანი ტრამპლინის რემონტი და კეთილმოწყობა, სწრაფდაშვების ტრასისა და ამ ტრასაზე არსებული დეკორაციული ქოხების კაპიტალური რემონტი, ფიზკულტურის ინსტიტუტის სასწავლო ჯგუფებისთვის ბინების აგება. გაგვიჭიანურდა კოხტა I-ის სავარძლიანი საბაგირო გზის შეკეთება. გვარლი, საყრდენები, გორგოლაჭები, ქვედა სადგურის ამძრავი შესაცვლელია, სათადარიგო ნაწილები კი არ არის.

ჩვენ დაგვავალეს რემონტი ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის სპორტული დარბაზისა, სადაც ერთ დროს საქართველოს ნაკრები ვარჯიშობდა, მაგრამ ხის მასალის უქონლობამ შეგვაფერხა. რუსთავში ვარემონტებთ „მეტალურგის" სტადიონს. სარბენი ბილიკები უკვე დავასრულეთ. აქ საქართველოში პირველად დავაგეთ „რეზდოლი"...

საუბარი გაგვიგრძელდა, დასასრულს გ. კორკოტაძემ გვითხრა, რომ სამმართველო, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, ჯერჯერობით სუსტი ორგანიზაციაა. გამსხვილებისა და ტექნიკით აღჭურვის შემდეგ ეს დაწესებულება თვითონვე უზრუნველყოფს რესპუბლიკაში ბევრი სპორტული ბაზის აშენებას.

**რედაქციისგან:** ვ. ლომაძემაც და გ. კორკოტაძემაც საკმაოდ ნათლად ილაპარაკეს იმ მიზეზებზე, რომელთა გამოც საქართველოში სპორტული ბაზებისა და ნაგებობების ასაშენებლად გამოყოფილი თანხები აუთვისებელი რჩება, და, მაშასადამე, სპორტისთვის იკარგება. ვფიქრობთ, ამ საკითხების მოსაგვარებლად იზრუნებენ სათანადო ორგანიზაციები. სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციების ხელმძღვანელები იმედია გამოეხმაურებიან გაზეთის სიგნალს, მოგვწერენ, რა უშლით ხელს, რა არის საჭირო იმისთვის, რომ რესპუბლიკის ფიზკულტურელებმა დროულად მიიღონ ხარისხიანი ბაზები.



## რესპუბლიკის ჩემპიონი

ფეხბურთი

რესპუბლიკის 1976 წლის ჩემპიონობა ფეხბურთში მოიპოვა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის კოლექტივმა. დებულების თანახმად სტუდენტი ფეხბურთელები გაისად მონაწილეობას მიიღებენ საკავშირო გათამაშებაში „ა" კლასის II ლიგის გუნდებს შორის.

* * *

სურათზე: დგანან (მარცხნიდან): გ. ბაქანიძე (გუნდის უფროსი), ს. ზაქარიაძე (უფროსი მწვრთნელი), ა. ელოშვილი, ა. ორდინიძე, დ. გოგოლაძე, მ. მეგრელაძე, ვ. ხუსკივაძე, თ. ჭანტურია, გ. მორგოშია, ა. კოკაია, გ. ციკოლია, შ. ახალაია, დ. ჭავახიშვილი, გ. თუნთია, გ. კვირკველია (მწვრთნელი); სხედან — პ. ქავთარაძე, თ. მაჭარაძე, ა. სევასტოპულო, რ. მუმლაძე, ა. დარახველიძე, ს. გილაური, გ. ივანოვი, ე. გვარამაძე, შ. ლორთქიფანიძე, ვ. მასტიაშვილი.

ზ. გომურაშვილის ფოტო.

# შეჯიბრება — მოუმზადებელი, შედეგები — დაბალი...

„ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა დოსააფის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი შეჯიბრება გასამხედროებულ მრავალჭიდში დედაქალაქის ორჯონიკიძის რაიონის სკოლების, ტექნიკუმებისა და პროფტექსასწავლებლების მოსწავლეთა შორის. ასპარეზობაში მონაწილეობდა 600-მდე გოგონა და ჭაბუკი. ასეთი შეჯიბრება რესპუბლიკაში პირველად მოეწყო და მოსალოდნელი იყო, რომ იგი კარგად იქნებოდა ორგანიზებული, ხოლო სპორტული მაჩვენებლები მოლოდინს გადააჭარბებდა, მაგრამ...

შეჯიბრებას ექიმი არ ემსახურებოდა(?!), მთავარი კი ის გახლდათ, რომ თითქმის არც ერთი გუნდი არ იყო სრულად დაკომპლექტებული და ამიტომაც ყოველი დაკლებული მონაწილისთვის ნის „„ხანაგებს 5 საჯარიმო ქულა ეწერებოდათ.

ასპარეზობის ბევრი მონაწილე მოუმზადებელი აღმოჩნდა, ზოგმა იარაღი პირველად ნახა და მის დაშლა-აწყობას სახელდახელოდ იქვე სწავლობდა. ამის შემდეგ განა გასაკვირია, რომ შედეგებიც ძალზე არასახარბიელო იყო?

თუ შეჯიბრების მთავარ მსაჯს ი. ზალდავას დავუჯერებთ, ასპარეზობის დებულება ყველა სკოლას, სასწავლებელსა და ტექნიკუმს ერთი კვირით ადრე დაეგზავნა, მაგრამ 151-ე სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელმა, მაგალითად, ამის შესახებ რატომღაც მხოლოდ ტურნირის დაწყების დღეს გაიგო და გუნდის დაკომპლექტებას იქვე, სტადიონზე ცდილობდა.

როგორც ცნობილია, ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების IX-X კლასებში დაწყებით სამხედრო სწავლებას დიდი ყურადღება ექცევა, ჰყავთ სამხედრო ხელმძღვანელები — უმეტესად თადარიგის ოფიცრები, აქვთ კარგად მოწყობილი და სამოსწავლო ტექნიკით აღჭურვილი კაბინეტები, მაგრამ შეჯიბრების დაბალმა ტექნიკურმა შედეგებმა ცხადყო, რომ ეს საქმე ყველგან სათანადო დონეზე არ დგას.

ტურნირის საბოლოო შედეგები ასეთია: ავტომატის დაშლა-აწყობაში გაიმარჯვა 64-ე საშუალო სკოლის გუნდმა. აირწინაღის ჩაცმაში, 500 (გოგონები) და 1000 მეტრზე, (ვაჟები) კროსშიც ამავე სკოლის მოსწავლეები პირველობდნენ. ხელყუმბარის ტყორცნაში ყველას აჯობეს 134-ე სკოლის წარმომადგენლებმა. სროლაში შეჯიბრება ჩაიშალა...

**რ. შანშიაშვილი.**

# ცნობები ბათუმიდან

**ზღვისპირა** პარკის ჩოგბურთის კორტებზე დამთავრდა „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა. ქალთა ერთეულების თანრიგში ჩემპიონობა მოიპოვა მოსკოველმა სპორტის ოსტატმა ლ. მაკაროვამ, ხოლო ვაჟთა შორის — კიეველმა ბ. ბუზლაკოვმა. ბუზლაკოვისა და ვ. ივანცოვის (ორივე — უკრაინა) გამარჯვებით დამთავრდა ვაჟთა წყვილების ასპარეზობაც. ქალთა წყვილებში ყველას აჯობეს მოსკოველებმა მაკაროვამ და ე. პატრუშინამ. შერეულ წყვილთა შორის ჩემპიონები გახდნენ ბუზლაკოვი და მაკაროვა.

ბათუმელი ძმები ვ. და ზ. ასათიანები ვაჟთა წყვილების შეჯიბრებაში III საპრიზო ადგილზე გამოვიდნენ.

**მდინარე** ჩაქვისთავის მიდამოებში მოეწყო აჭარის „სპარტაკის" საოლქო საბჭოს გუნდური პირველობა ტურისტულ მრავალჭიდში. შეჯიბრების პროგრამაში იყო 300 მეტრზე რბენა, ხელყუმბარის ტყორცნა, ციცაბო მთაზე ასვლა-ჩამოსვლა, დაზარალებულის გადაყვანა და კარვის გაშლა.

I ადგილი დაიკავა ბათუმის საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმის გუნდმა.

**საინტერესოდ** წარიმართა აჭარის „სპარტაკის" საოლქო საბჭოს 1976 წლის პირველობა ხელბურთში ქალთა გუნდებს შორის. I ადგილი დაიკავა აჭარის კავშირგაბმულობის საწარმოო-ტექნიკური სამმართველოს კოლექტივმა (მეთოდისტი შ. ტაბაღუა).

**ერთ კვირას** გაგრძელდა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. ქალთა შორის ჩემპიონი გახდა საერთაშორისო სპორტის ოსტატი ვ. პოპოვა (აზერბაიჯანი). II ადგილი დაიკავა ვ. კუზნეცოვამ (უკრაინა), III — ა. ხარიჩევამ (ლენინგრადი). ვაჟებში საპრიზო ადგილები სომხეთის გუნდის წევრებმა გაინაწილეს. პირველი იყო ბ. ბურნაზიანი, მეორე — ე. ზახარიანი, მესამე — გ. ვარდანიანი

ქალთა წყვილებში გაიმარჯვეს პოპოვამ და ნ. ანტონიანმა (სომხეთი), ვაჟთა წყვილებში — ბურნაზიანმა და ზახარიანმა, შერეულ წყვილებში — ბურნაზიანმა და პოპოვამ.

გუნდური I ადგილი დამსახურებულად მოიპოვა სომხეთის პირველმა ნაკრებმა, II — სომხეთის მეორე გუნდმა, ხოლო III — უკრაინის კოლექტივმა.

**ო. მურვანიძე.**
**(ჩვენი კორ.).**

### ✦ ცხინვალი

დოსააფის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტმა ქალაქის ტირში ჩაატარა შეჯიბრება ტყვიის სროლაში. ცეცხლის ხაზზე გამოვიდნენ ქ. ცხინვალის, ზნაურის, ლენინგორის, ჯავისა და ცხინვალის რაიონების გუნდები. მასპინძლებმა ყველას აჯობეს. მეორე ადგილზეა ცხინვალის რაიონის კოლექტივი, მესამეზე — ზნაურელთა გუნდი.

პირად პირველობაში საპრიზო ადგილები დაიკავეს ცხინვალელებმა ა. კაპეიკინმა, ნ. ყურაშვილმა და ა. ჩლაიძემ.

**ლ. მელქოევი.**

### ✦ თერჯოლა

ჩატარდა მოსწავლეთა რაიონული საშემოდგომო პირველობა ფეხბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 17 საშუალო სკოლის 300-მდე მოსწავლე. საუკეთესო იყო თერჯოლის საშუალო სკოლა. II ადგილი მოიპოვეს ჩხარის, ხოლო III — ეწერის საშუალო სკოლების სპორტსმენებმა.

**ე. ჯიმშიაშვილი,**
**თერჯოლის ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორი.**

## ჭადრაკი





### თბილისის საზონათშორისო...

გუშინწინ თბილისის საზონათშორისო ტურნირის მონაწილეებს დასვენების დღე ჰქონდათ. მოჭადრაკეებმა და მათმა მწვრთნელებმა ჯერ დედაქალაქის ღირსშესანიშნაობები დაათვალიერეს, მერე კი გორში გაემგზავრნენ. გზად სტუმრებმა ნახეს ჯვრის მონასტერი, სვეტიცხოველი... ექსკურსიაზე არ იყვნენ მხოლოდ მ. ლიტინსკაია და ტ. ზატულოვსკაია. მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, მათ VI ტურიდან გადადებული პარტია ითამაშეს (შეხვედრა ყაიმით დასრულდა).

• • •

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე:** საერთაშორისო ოსტატი ნ. ალექსანდრია (მარცხნიდან მეორე) სტუმრებს — გდრ-ის მოჭადრაკეებს ბ. ჰოფმანს, პ. ფოისტელსა და მათს მწვრთნელს ე. ბიონშს დედაქალაქს აცნობს; პარტიას ამთავრებენ ი. ლიტინსკაია (მარცხნივ) და ტ. ზატულოვსკაია.

ა. სააკოვისა და ნ. მღებროვის ფოტოები.

## ახმილოვსკაია ლიდერთა ჯგუფშია

ჰოლანდიის ქალაქ როზენდალში გრძელდება ქალთა მსოფლიო პირველობის მეორე საზონათშორისო ტურნირი. გათამაშდა კიდევ სამი (IV, V, VI) ტური.

IV ტურში ე. ახმილოვსკაიამ (სსრ კავშირი) მოუგო კ. ვრეკენს (ჰოლანდია), ი. ჰარტსტონმა (ინგლისი) — ი. კაროს (კოლუმბია), ჟ. ვერეციმ (უნგრეთი) — ლ. ბელავენეცს (სსრ კავშირი), ტ. ლემაჩკომ (ბულგარეთი) — ტ. ფომინას (სსრ კავშირი), ა. კუშნირმა (ისრაელი) — მ. გრამინიანის (იტალია). დაზავდნენ მ. ლაზარევიჩი (იუგოსლავია) — ა. მიიე-ნიკოლაუ (ჰოლანდია). რ. ორტონ (აშშ) — მ. ოლივეირას (ბრაზილია) პარტია გადაიდო.

V ტურში ახმილოვსკაიამ სძლია ერთ-ერთ ლიდერს — ლემაჩკოს. ფომინა კვლავ დამარცხდა, ამჯერად ლაზარევიჩთან. კარომ მოუგო ორტონს, მიიე-ნიკოლაუმ — გრამინიანის, ვერეციმ — ოლივეირას. ყაიმზე შეთანხმდნენ კუშნირი და ჰარტსტონი. გადაიდო ბელავენეც — ვრეკენის პარტია.

ახმილოვსკაიამ VI ტურშიც ისახელა თავი: დაამარცხა ლაზარევიჩი. გაიმარჯვეს მისმა კონკურენტებმაც: ვერეციმ — ვრეკენთან, კუშნირმა — ორტონთან. ფომინამ ფარ-ხმალი დააყრევინა გრამინიანის, ოლივეირამ — კაროს. ყაიმით დამთავრდა ლემაჩკო — ბელავენეცისა და ჰარტსტონ — მიიე-ნიკოლაუს შეხვედრები.

ამრიგად, 6 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: ე. ახმილოვსკაია, ჟ. ვერეცი, ა. კუშნირი — 4,5-4,5 ქულა, ი. ჰარტსტონი — 4, ტ. ლემაჩკო 3,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, მ. ლაზარევიჩი — 3,5.

## მოგების შანსის ძიებაში

**სსრ კავშირის ვაჟთა 44-ე ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ტურნირი (მოსკოვი, რკინიგზელთა კულტურის ცენტრალური სახლი). 8 ტურის შემდეგ ლიდერობენ ი. ბალაშოვი — 5,5 ქულა, ტ. პეტროსიანი — 5, ი. დორფმანი — 4,5 ქულა და 2 გადადებული პარტია, ე. გელერი, ნ. რაშკოვსკი — 4-4 (1-1), ა. კარპოვი, მ. ტალი — 3,5-3,5 (2-2).**

VIII ტურის ცენტრალური შეხვედრა — კარპოვ—დორფმანის პარტია სიცილიური დაცვით დაიწყო. მსოფლიო ჩემპიონმა ფიგურა შესწირა სამ პაიკში და იერიში წამოიწყო, მაგრამ დორფმანმა დაკვირვებული მანევრებით თამაში გაათანაბრა. კარპოვს შეეძლო პარტია ყაიმით დაემთავრებინა სვლების გამეორებით, მაგრამ განაგრძო მოგების შანსის ძიება. პარტია გადაიდო თანაბარ ენდშპილში.

ორი შეხვედრის ბედი ცაიტნოტში გადაწყდა. ვ. ცეშკოვსკიმ ტ. პეტროსიანთან პარტიაში მე-9 სვლაზე ერთ საათს იფიქრა და მერე მძაფრ ცაიტნოტში მოექცა. მწვავე პოზიციაში, 30-ე სვლის დროს მას საათზე ალამი ჩამოუვარდა, რაც წაგებას ნიშნავდა. ვ. კუპრეიჩიკმა მოასწრო ყველა სვლის გაკეთება ე. გრიგორიანთან შეხვედრაში, მაგრამ წამოწყებული კომბინაცია უსწორო გამოდგა.

რაშკოვსკი ბალაშოვთან თავიდანვე ყაიმის გზას დაადგა და კიდეც მიაღწია მას. ბ. გულკომ მცირე უპირატესობა მიიღო ვ. სმისლოვთან, მაგრამ მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა თამაში გაათანაბრა. დაზავდნენ, აგრეთვე, ე. სვეშნიკოვი და მ. ტალი.

ორი პარტია გადაიდო. რთულ სიტუაციაში შეწყდა რ. ვაგანიან — ა. ზახაროვის პარტია, მ. ტაიმანოვს გელერთან ლაზიერში ეტლი, ლუ და სამი პაიკი აქვს.

ო. რომანიშინის ავადმყოფობის გამო არ შედგა მისი შეხვედრა ლ. პოლუგაევსკისთან.

ცეშკოვსკი დანებდა ბალაშოვს VII ტურიდან გადადებულ პარტიაში.

# წყალბურთელები ემზადებიან

**თბილისის** „დინამოს" ოსტატ წყალბურთელებს არდადეგები დაეწყოთ: დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატი, საერთაშორისო ტურნირები. მაგრამ „არადადეგები" მხოლოდ პირობითად შეიძლება ჩავთვალოთ, რადგან გუნდი უკვე აქედანვე ემზადება 1977 წლის საკავშირო ჩემპიონატისთვის, რომელიც ახალი წესებით ჩატარდება. სწორედ კოლექტივის მომავალ გეგმებზე გვესაუბრა გუნდის უფროსი მწვრთნელი, სპორტის საერთაშორისო ოსტატი **ვ. სანაძე:**

„განვლილი, 1976 წლის ჩემპიონატით კმაყოფილი ვარ. ჩვენი მიზანი უძლიერესთა ექვსეულში მოხვედრა იყო, ვინაიდან გუნდში გვყავდა ხუთი ახალბედა სპორტსმენი, რომლებსაც ადრე საკავშირო შეჯიბრებებში არ უთამაშიათ. ესენი არიან: ალექსანდრე მახარაძე, ზურაბ ქოიავა, მიხეილ გიორგაძე, ანატოლი ტრეპეტუნი და ანატოლი გაისინი. სასიხარულოა, რომ გუნდის წევრებმა გააუმჯობესეს ცურვის სისწრაფე, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე წყალბურთში. ამ ჩემპიონატში ჩვენი მთავარი მიზანი იყო ახალგაზრდა მოთამაშეების გამოცდა, რომლებმაც ძირითადად გაამართლეს იმედები: მონდომებით იცავდნენ გუნდის ღირსებას უფროს მეგობრებთან ერთად. როგორც ხედავთ, კოლექტივი ძირითადად ახალგაზრდულია და VI ადგილი მის პოტენციურ ძალას არ განსაზღვრავს. მომავალში იმედი გვაქვს დავიბრუნოთ დაკარგული პოზიციები..."

### „ჩვენი ინტერვიუ"

მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, აგრეთვე, წყალბურთელთა მომავალ თაობასთან მუშაობის გასაუმჯობესებლად, რასაც ხელი შეუწყო „დინამოს" საცურაო აუზის გახსნამ. წარმატებით მუშაობენ ახალგაზრდა მწვრთნელები: ჯ. წიკლაური, ბ. მეგედი, თ. ივანიშვილი, ბ. მარგიევი და ქ. იოგანი.

როგორც აღვნიშნეთ, მომავალი ჩემპიონატი ახალი წესებით ჩატარდება, რაც უთუოდ ხელს შეუწყობს წყალბურთის შემდგომ განვითარებას — საგრძნობლად გაიზრდება თამაშის ტემპი, გაუმჯობესდება მისი სანახაობრივი მხარე. ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, ახლავე უნდა შეიცვალოს გუნდის მომზადების მეთოდი: კიდევ უფრო გაიზარდოს ცურვის სისწრაფე, დაიხვეწოს მოთამაშეთა ტექნიკური მომზადება, ამავე დროს შესაბამისად — ტაქტიკაც. როგორც ვიუწყებოდით, დინამოელებმა წლის მიწურულს სამი საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა გამართეს იუგოსლავიაში. იქ ჩვენი გუნდი იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელიც ახალი წესებით თამაშობდა და სამივე მატჩი მოიგო.

გუნდი აშკარად წინსვლის გზაზეა. ვ. ისელიძე, ნ. კურტანიძე და დ. რურუა საბჭოთა კავშირის წყალბურთელთა ნაკრების კანდიდატები არიან. ცვლილებებია გუნდის შემადგენლობაშიც. სათამაშოდ მოწვეული არიან ახალგაზრდა პერსპექტიული მოთამაშეები: გ. კოღუაშვილი, თ. კუტივაძე, დ. გვახარია, ძმები ზ. და დ. ივანიშვილები და გ. ტუკვაძე.

წყალბურთელებს ყურადღებას და ზრუნვას არ აკლებენ რესპუბლიკური სპორტკომიტეტი, წყალბურთის ფედერაცია და უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 3 რესპუბლიკური სკოლა. ყოველივე ეს გვაძლევს იმედს, რომ მომავალი წლის ჩემპიონატში ჩვენი გუნდი უძლიერესთა ექვსეულში მოხვდება და წარმატებით იბრძოლებს ერთ-ერთი საპრიზო ადგილისთვის.

**ნ. ერაძე,**
**თბილისის „დინამოს" ოსტატ წყალბურთელთა გუნდის წევრი, სპორტის ოსტატი.**

## „შაბათის სპორტლოტოს" შედეგები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „შაბათის სპორტლოტოს" მორიგი ტირაჟებისა, რომლებიც 4 დეკემბერს მოსკოვში მოეწყო.

**პირველი ტირაჟი:** ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია (11 ბარათი), ოთხისთვის — 110 (2104), სამისთვის — 5 (56580).

**მეორე ტირაჟი:** ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია (10 ბარათი), ოთხისთვის — 196 (1297), სამისთვის — 7 (37744).

მოგებული თანხა გაიცემა 1976 წლის 14 დეკემბრიდან 1977 წლის 14 იანვრის ჩათვლით.







შედგა კალათბურთელ ვაჟთა გუნდების უმაღლესი ლიგის ჩემპიონატის ერთი მატჩი.

**ტალინი.** ადგილობრივი „კალევი“ შეხვდა რიგის არმიელებს და გაიმარჯვა — 90:82 (47:40). ეს ესტონელ კალათბურთელთა მესამე გამარჯვებაა, ხოლო რიგელთათვის — ასევე მესამე მარცხი. ახლა ესტონელებს ექვსი შეხვედრიდან 3 ქულა აქვთ, ხოლო რიგელებს ხუთი შეხვედრიდან — 2.

# იწრთობიან, კაჟდებიან...

მეორე წელია ბათუმის ბავშვთა ახალგაზრდულ სპორტულ სკოლაში ხელბურთის სექცია არსებობს. ახალმა „ქეთილმოწყობილმა შენობამ ბავშვებს რეგულარული წვრთნისთვის საუცხოო პირობები შეუქმნა.

შედეგმაც არ დააყოვნა — ახლახან 1962-1963 წლებში დაბადებულმა ბათუმელმა ბავშვებმა საქართველოს პირველობაში თავიანთს ასაკობრივ ჯგუფში II ადგილი დაიკავეს.

მწვრნთელ ბ. ფირცხალაიშვილს იმედი აქვს, რომ ახლო მომავალში მისი აღზრდილები საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებ გუნდს შეემატებიან და წარმატებით გამოვლენ სსრ კავშირის მოსწავლეთა სპარტაკიადაში.

სურათებზე: მეცადინეობას ატარებს მწვრთნელი ბ. ფირცხალაიშვილი, ბურთს ტყორცნის მეექვსეკლასელი გ. დიასამიძე; ბათუმის 26-ე საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე, ნორჩი მეკარე დ. კუტუბიძე.

ა. საკოვის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).



# ექვსთა ტურნირი

**გუშინ თბილისის სტადიონებზე შედგა რესპუბლიკური საფეხბურთო გათამაშების მორიგი ტურის მატჩები იმ გუნდებს შორის, რომლებიც იბრძვიან I ჯგუფში დარჩენისთვის.**

ფრედ დამთავრდა „ქართლისა“ (გორის რაიონი) და „მზიურის“ (გალი) შეხვედრა — 2:2. თბილისის უნივერსიტეტის გუნდმა მოუგო ცხინვალის „სპარტაკს“ — 1:0, ხოლო საჩხერის „ჩიხურამ“ — ზესტაფონის „მეტალურგს“ — 2:1.

3 ტურის შემდეგ ლიდერობს „მზიური“ — 5 ქულა. 4 ქულა აქვს „ჩიხურას“, 3-3 — „მეტალურგს“ და უნივერსიტეტს, 2 — „ქართლს“, 1 — „სპარტაკს“.

10 დეკემბერს მორიგი, მე-4 ტურია. ერთმანეთს ხვდებიან „სპარტაკი“ — „ჩიხურა“, „მზიური“ — „მეტალურგი“, უნივერსიტეტი — „ქართლი“.

# სტატისტიკა, სტატისტიკა...

● XXXIX საკავშირო ჩემპიონატში, რომელიც 1976 წლის საშემოდგომო პირველობადაც იწოდებოდა, შედგა 120 მატჩი. ამ შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 317 ფეხბურთელმა. ყველაზე მეტი ფეხბურთელი ათამაშა მოსკოვის „სპარტაკმა“ — 27, ყველაზე ნაკლები — მოსკოვის „ტორპედომ“ და ლვოვის „კარპატიმ“ — 17-17.

თბილისის „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში გამოვიდა 21 ფეხბურთელი.

● განვლილ ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო 24 დებიუტანტმა, მათგან ყველაზე მეტი (3-3) გამოიყვანეს თბილისის „დინამომ“, კუიბიშევის „კრილია სოვეტოვმა“, ერევნის „არარატმა“ და მოსკოვის „სპარტაკმა“.

თბილისის „დინამოს“ დებიუტანტები არიან ტარიელ დვალიშვილი, ვალერი ძებისაშვილი და გიორგი ჭილაია. ახლა თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში ყველა ჩემპიონატის მანძილზე ნათამაშევ ფეხბურთელთა რიცხვმა 176-ს მიაღწია.

● დებიუტანტებიდან ყველაზე შედეგიანი იყო მოსკოვის არმიელი ტარხანოვი — 4 გოლი.

● განვლილი ჩემპიონატი თითო მეკარით ჩაატარეს მოსკოვის „ტორპედომ“ (ა. ზარაპინი), თბილისის „დინამომ“ (დ. გოგია), ლენინგრადის „ზენიტმა“ (ვ. ოლეინიკი), მოსკოვის ცსკა-მ (ვ. ასტაპოვსკი) და მოსკოვის „ლოკომოტივმა“ (ვ. სამოხინი).

● უმაღლეს ლიგაში 109 ფეხბურთელის მიერ გატანილ 252 ბურთში 3 „ავტოგოლია“. საკუთარ კარში გაიტანეს ბურთები მოსკოვის ტორპედოელმა ს. პრიგოდამ, მოსკოვის დინამოელმა ა. პაროვმა და ერევნელმა ა. სარქისიანმა.

● ჩემპიონატის 12 საუკეთესო ბომბარდირი: ა. მარკინი („ზენიტი“) — 13 გოლი, ვ. დანილიუკი („კარპატი“), ბ. კოპეიკინი (ცსკა) — 8-8, მ. ბულგაკოვი („სპარტაკი“) — 6, ო. ბლოხინი (კიევის „დინამო“), პ. იაკოვლევი („დნეპრი“), ა. იაკუბიკი (მოსკოვის „დინამო“), ნ. პეტროსიანი („არარატი“), ა. პოგორელოვი („ჩერნომორეცი“), ვ. სახაროვი, ე. ხრაბროსტინი (ორივე — „ტორპედო“), თ. ჩორბა („კარპატი“) — 5-5 გოლი.

● 39-ე ჩემპიონატის ყველაზე დიდი ანგარიშია 5:0. ასე მოუგო „ზენიტმა“ თავის მინდორზე „არარატს“.

● მასპინძელმა გუნდებმა აიღეს 167 ქულა, ხოლო სტუმრებმა — 73. ბურთების სხვაობაა 166—86.

● ბოლო წლების საშუალო შედეგიანობა ასეთია: 1972 წ. — 2,35 გოლი ერთ მატჩში, 1973 წ. — 2,28, 1974 წ. — 2,39, 1975 წ. — 2,26, 1976 წ. (საგაზაფხულო) — 2,14, 1976 წ. (საშემოდგომო) — 2,10.

● ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა და ხანდაზმული ფეხბურთელები მოსკოვის „სპარტაკის“ შემადგენლობაში გამოდიოდნენ. ესენი არიან 17 წლის ვ. ხიდიატულინი და 35 წლის ნ. ოსიანინი.

● მეტოქეთა მინდვრებზე ყველაზე მეტი ქულა აიღო მოსკოვის „ტორპედომ“ — 8, ხოლო საკუთარ მინდვრებზე — მოსკოვისა და თბილისის დინამოელებმა — 13-13 ქულა.

● სულ დანიშნული იყო 31 პენალტი, რომელთაგან რეალიზებულია 24. ყველაზე მეტი პენალტი — 5, დაარტყეს მოსკოვის სპარტაკელებმა, რომელთაგან 4 კარის აღებით დაამთავრეს.

● 6 ფეხბურთელი მინდვრიდან გააძევეს, 78 შემთხვევაში მსაჯებს დასჭირდათ გაფრთხილების მიცემა.

● ყველაზე უდისციპლინო გუნდები არიან ლვოვის „კარპატი“ — 2 გაძევება და 10 გაფრთხილება და ერევნის „არარატი“ — 1 გაძევება და 11 გაფრთხილება, ხოლო ყველაზე დისციპლინიანი კოლექტივები — ოდესის „ჩერნომორეცი“ (1 გაფრთხილება) და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“ (2 გაფრთხილება).

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა მსაჯებისგან 5 გაფრთხილება მიიღეს.

● ყველაზე უდისციპლინო ფეხბურთელები არიან მოსკოვის არმიელი ს. მოროზოვი და დნეპროპეტროვსკელი ვ. მასლოვი, რომლებმაც თითო გაფრთხილება და თითო მინდვრიდან გაძევება დაიმსახურეს. ლვოველმა ვ. სიროვმა და მოსკოვის „დინამოს“ კაპიტანმა ო. დოლმატოვმა მსაჯებისგან 3-3 გაფრთხილება მიიღეს.

● 39-ე ჩემპიონატის შემდეგ თბილისის „დინამოს“ საკავშირო ჩემპიონატებში გატანილი აქვს 1637 გოლი. ამ რიცხვიდან 1603 გოლი 87-მა დინამოელმა გაიტანა, ხოლო დანარჩენი 34 საკუთარ კარში მოათავსეს მეტოქეებმა.

● მინსკის „დინამომ“ უმაღლესი ლიგა წლეულს მეექვსედ დატოვა. ეს გუნდი პირველი ლიგიდან უმაღლესში ხუთჯერ გადავიდა. ორივე მაჩვენებელი სარეკორდოა.

ნ. ცერცვაძე.

# ნაკრების მწვრთნელის აზრით...

ქვეყნის კალათბურთელ ვაჟთა ჩემპიონატში ჯერჯერობით ნაადრევია „აქცენტის გადატანა“ ამა თუ იმ კოლექტივზე, მით უმეტეს, რომ გუნდებმა მატჩები სხვადასხვა რაოდენობით ითამაშეს. მაგრამ თვით უმაღლესი ლიგის ტურნირის მონაწილეთა თამაშის ხარისხი უკვე გვაძლევს განსჯისა და ფიქრის საფუძველს.

— მე ჩვენი პირველობის მატჩები პირველ ყოვლისა 1980 წლის ოლიმპიადისთვის მზადებისა და ახალი ტალანტების ძიების თვალსაზრისით მაინტერესებს, — უთხრა საკდესის კორესპონდენტ ი. ხრომოვს სსრ კავშირის ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა ს. ბაშკინმა.

— ჯერჯერობით ოლიმპიადისთვის ახალგაზრდა კანდიდატი არც ისე ბევრი გვყავს. გარდა ამისა, ძირითადად ეს კალათბურთელები ჩვენთვის უკვე კარგა ხანია ცნობილი იყვნენ, — აღნიშნა შემდეგ ბაშკინმა. — მწვრთნელები ამჯობინებენ ახალგაზრდები სათადარიგო სკამზე ჰყავდეთ, სარბიელზე კი გამოცდილი მოთამაშეები გამოიყვანონ. დღეს შემიძლია გამოვყო მხოლოდ თბილისელი ნიკოლოზ დერიუგინი, რომელმაც კარგად ითამაშა მოსკოვის დინამოელებთან გამარჯულ ბოლო მატჩში. 17 წლის სპორტსმენი გამოირჩევა არა მარტო სიმაღლით (208 სმ), არამედ თამაშის ღრმა გაგებითაც.

ბაშკინის აზრით, გუნდების უმეტესობას ჯერ კიდევ არ მიუღწევია საუკეთესო ფორმისთვის. ეს ეხება მოწინავე კოლექტივებსაც, მათ შორის ბოლო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორს — მოსკოვის „დინამოს“. მისი არსენალიდან რატომღაც გაქრა ისეთი ეფექტური იარაღი, როგორიცაა სწრაფი, საკუთარ ფარქვეშ დაწყებული იერიში.

(საკდესი).

რედაქტორი ა. ბასილაია.

# ოლიმპიური ჩემპიონის გასაჭირი

სანაპირო სამაშველო სამსახურის მუშა ტრევორ მანინგი მონრეალის ოლიმპიურ თამაშებში წარმატებით იცავდა ახალი ზელანდიის ნაკრების ღირსებას ბალახის ჰოკეიში. ცნობილი მეკარე ოლიმპიადიდან დაბრუნებამდე ნამდვილ გმირად მიაჩნდათ სამშობლოში. მის შესახებ ბევრს წერდნენ მონრეალიდან გადაცემულ ინფორმაციებში, მის სურათებს ყველა გაზეთი ბეჭდავდა. ფინალურ მატჩში ტრევორმა ბრწყინვალედ ითამაშა, მაგრამ ბოლოს ბედმა უმტყუნა და სერიოზულად დაშავდა — ფეხი მოიტეხა.

ამ ფინალური მატჩიდან, რომელმაც ახალზელანდიელებს ბალახის ჰოკეიში პირველი ოლიმპიური ოქროს მედლები მოუტანა, დაიწყო მანინგის გასაჭირიც. ტრავმის გამო მან დიდხანს ვერ შეძლო მუშაობა. დაზღვევის თანხა კი ცნობილ სპორტსმენს არ მისცეს იმ მიზეზით, რომ იგი „საზღვარგარეთ საქმის გამო არ იყო წასული“.

ჟურნალისტებთან საუბარში მანინგმა განაცხადა: „დღეს ჩემთვის ოლიმპიური ოქროს მედალი უკვე აღარაფერს ნიშნავს. ჩემი ამბავი აღარავის აინტერესებს. ახლა ჩემი მთავარი საზრუნავი ისაა, როგორმე ვარჩინო ოჯახი ძველი დანაზოგებით“.

უცხოეთის სააგენტოების ცნობით, მანინგმა მიიღო მხოლოდ 40 დოლარი — ღარიბებისთვის განკუთვნილი ოფიციალური დახმარება.

(საკდესის კორ.).



# მზადაა სერიული გამოშვებისთვის

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს სახალხო მოხმარების საქონლის საუკეთესო ნიმუშების საკავშირო პავილიონის საექსპერტო საბჭომ სერიულად გამოსაშვებად მოიწონა 113-613 მოდელის ახალი დასაკეცი ველოსიპედი „კამა“. ეს მოდელი ბევრად კომფორტულია თავის წინამორბედზე, აქვს საუკეთესო განათება, ახალი საჭე, რბილი უნაგირი და ნაკლებსაც იწონის.

ვ. სმეტანინის ფოტო.

# საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი

**დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის სტუდენტებს მოაგონებს, რომ 1976-77 სასწავლო წელს ლაბორატორიულ-საგამოცდო სესიები ჩატარდება:**

I-II კურსებისთვის — 3-17 იანვარს,

III-IV-V კურსებისთვის — 3-22 იანვარს.

ვისაც წინა კურსიდან დავალიანება არა აქვს, ამასთან, სესიების დაწყებამდე ჩათვლის ყველა საკონტროლო და საკურსო შრომას, სასწავლო შვებულების დროს ხელფასი შეენახება.

სტუდენტები ვალდებული არიან სესიების დაწყების დღეს ინსტიტუტში გამოცხადდნენ 9 საათზე და რეგისტრაცია გაიარონ. თან უნდა იქონიონ სტუდენტის ბილეთი, ჩათვლის წიგნაკი და სათანადოდ დამოწმებული გამოძახების ფურცელი.

დავალიანების მქონე სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ ბრძანების ამონაწერი, რომ მათ მიეცათ უხელფასო ან კუთვნილი შვებულება.

სტუდენტები, რომლებიც სესიების დაწყებამდე ვერ დაფარავენ წინა კურსის აკადემიურ დავალიანებას, გაუფრთხილებლად გაირიცხებიან.

სწავლაში ხელშემშლელი მიზეზების შესახებ სტუდენტებმა სესიების დაწყებამდე უნდა აცნობონ დეკანატს (დაზღვეული წერილით ან პირადად). ამის თაობაზე განცხადებას უნდა ერთვოდეს დამადასტურებელი საბუთებიც. დაგვიანებით წარმოდგენილი ან გამოგზავნილი განცხადებები, საბუთები, აგრეთვე, შუამდგომლობა, თხოვნა აკადემიური შვებულების, იმავე კურსზე დატოვების, სესიების ვადების გაგრძელებისა და სხვათა შესახებ მხედველობაში არ მიიღება.

**სტუდენტები ვალდებული არიან სასწავლო წლის მანძილზე პროფილით მუშაობის შესახებ ცნობები წარმოადგინონ ორჯერ — საზამთრო და საგაზაფხულო სესიების დაწყების წინ. წინააღმდეგ შემთხვევაში მეცადინეობებზე არ დაიშვებიან.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონი ცნობებისთვის 93-97-59.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04695